№ 42 – 1916 | ფასი 12 კაპ.
ავირა, 16 ლვინობის

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“.
Іос. Имедашвили. პირისპირ: „სოროპანი-“ს სტამბაში

წელ. ბეჭ. გამოცემ



ვალერიან გუნია
ალ. ორბელიანის მიერ გ. გუნიას სიუბილეოდ
პეტროგრადში გამოცემულ სურათიდან.

შინაარსი:

1, მეთაური—გაყინული სულოგნება . . .
2, ს. ანაშელი—ზღვის პირად . . . . .
3, ივ. გომართელი—ჩვენი გალიკო . . .
4, გ. ქუჩიშვილი—ჩვენ . . . . . .
5, მ ბოჭორიშვილი—რა მენადგება? .
6, გ. შინატეხელი—სიმაარი . . . . .
7, ლ. ძიძიგური—იდეა და მოიუდი . .
8, შალვა დადიანი—ლუზე . . . . . .
9, დ. ახვლედიანი-სა—ერთხელ გიხილე .
10, ს. წეველი—საკვლიდ-სიცოცხლის დაკ
11, კ. ძიძაძე—ეს, რა ვიცოდი . . . . .
12, — — — ევ. ნუ-ნუნავა. . . . .
13, მ ჯანაშვილი—ფეკინ პატრიოტიზმი
14, ნ. ელიაშვილი—იძულებულნი . . .
15, ა. ფანცულაია—წმინდა სულოგნებ
16, სახიობა, წვრილი ამბები . . . .
17, სურათები: თბილისის ლ. ლესი, ბეგ ნიკორაძე, გ. გუნია, ევ ნუ-ნუნავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინობისთვის 16

გაყინული ხელოვნება

რაც არ მოძრაობს წინ არ მიისწრაფის—ამბრეულ უახლოვდება: ერთ ადგილზე გაჩერება-გაყინვა— სიკვდილია.

იყო დრო, როდესაც ჩვენი სასცენო ხელოვნება და დრამატიული მწერლობა წარმოშობილორძინების ხანას განიცდიდა, მოძრაობდა, წინ ისწრაფოდა: საკუთარი დრამატურგნი, დრამატიულ ნაწარმოებთა მთარგმნელნი თუ სცენის უებრო ქურუმნი ჩვენც გვიბრწყინავდენ, დღეს-კი ყოველივე ამას გაცრეცილი ერთფეროვნება ჰმოსავს, გაულხობელი ყინულეთი დაჰფარობია...

და ეს დღეს, დღეს, როდესაც ეროვნული თეატრის ასპარეზი გაფართოდა, ქართველთა თავის თავის ცნობა, საზოგადოებრივ „მე"-ს შეგნება უფრო გაღრმავდა.

მიზეზი?

ყოველ საქმეს ერთგული პატრონ-მზრუნველი უნდა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ვაპატრონებიან, მოუვლელი საკონელი საშგლად ხდებაო,—იტყვიან ჩვენში.

სწორედ ამ უპატრონობამ მიიყვანა ჩვენი თეატრი და დრამატიული ხელოვნება საეალლო მდგომარეობამდე.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში იმართება წარმოდგენები, ზოგან საკუთარი თეატრიც გაიჩინეს და დასებიც შეადგინეს. მაგრამ რეპერტუარის სიღარიბე-ერთფეროვნება, პიესების სიძველე და სცენის მუშაკთა მოუმზადებლობა სასცენო ხელოვნებას ერთ წერტილზე ჰყინავს.

ვინ უნდა შეაცვალოს ეს ნაკლი?

ვინ უნდა გამოსცეს დრამატიულ ნაწარმოებთა კრებულები, ათარგმნინოს გამოსადეგი პიესები, შეადგენინოს და გამოსცეს სასცენო ხელოვნების სხვა და სხვა დარგის სახელმძღვანელოები, მოაწყოს ლექციები თეატრის შესახებ, დანიშნოს ახალ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებელი პრემიები ახალგაზდა დრამატურგთა წასაქეზებლად, თუ არა დრამატიულმა საზოგადოებამ?

ქართული თეატრი დიდი ეროვნულ ხალხისნური დაწესებულებაა, ჩვენი კულტურულ ად წინ წამწევი და მას უფრო დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრონ, ვიდრე დღეს ეპყრობიან, ვისიც ჯერ არს.

ჩვენი ერის სულიერად განახლება-გარდაქმნის საქმეში თუ ოდესმე ეკლესიას ჰქონდა მინიჭებული დიდი როლი, დღეს ეს როლი ქართულ ეროვნულ-ხალხისნურ თეატრს ეკისრება და იგი ამ როლს პირნათლადაც შეასრულებს, თუ მზრუნველ-მესვეური რიგიანი ეყოლა.

ჩვენი სასცენო ხელოვნება ერთს ადგილზეა გაყინული: ყინულს გალხობა-ამოძ აკვება ეპირვება.

ზღვის პირად

არ დამიჯერე, თორემ ხომ გიოხარ, მე არა მსურდა
შენთან ზღვის პირად მზის დაწოლის ჟამს გასეირნება.
არ დამიჯერე, და შენი ნება, აბა, ასრულდა.
ახლა ნუ ნანობ: შენმა სურვილმა ასე ინება.

იქაც მღეროდა შენს ლურჯ თვალებში ზღვა დარხეული
და შენს მკრთალ სახეს ელვა ვარდისა იქაც არ აკლდა
მაგრამ ფრთებსა შლის აქ შენს სახეზე ვიღაც გრძნეული,
და შენს თვალებში ვიღაც უცნობი ალაპარაკდა.

ხედავ ზღვის ტალღა როგორ ქანაობს ცეცხლის რკალებში! —
ცეცხლით ჩასწერე თვალში ეგ წამი მოსაგონარი...
მზე ჩამავალი ტალღებს აძინებს შენს ლურჯ თვალებში,
და წამწამებში ფარდას დაეყრებს ოქროს ზონარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ვალიკო

ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როდესაც სუმბათაშვილთან (იუტერნთან) შემიხვდა მისვლა მოსკოვში.

ყოველ ოთახში, ყოველ ნაბიჯზე სიმდიდრე, ფუფუნება! ადამიანს ჰქონია გემოვნება და ჰქონია საშუალებაც, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია. სადაც კი მიიხედავთ, კომფორტი.

ადამიანს ჰქონია წყურვილი მშვენიერებისა და ჰქონია მასთან საღსარიც, რომ ეს წყურვილი სრულად, უნაკლულოთ მოეკლა. სადაც კი მიიხედავთ, ძვირფასი ქანდაკები, ძვირფასი სურათები, ძვირფასი და ლამაზი მოწყობილობა.

ბუნებას მოუცია ნიჭი, დაჯექი და იმუშავე,—ყოველივე ხელს გიწყობს მუშაობისათვის..

სუმბ თაშვილიც მუშაობდა. და მუშაობს მხნედ, ნაყოფიერად. ის ნიჭიერი მსახიობია, ნიჭიერი მწერალი, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ილიას სიტყვები მა: გონდება:

შენი ძალა, რომ ამშვენებ
შენს . . . . . ოსმალეთსაც..

რუსეთმა მისცა სუმბათაშვილს საუკეთესო პირობები მუშაობისა და ნიჭის გაზრდისათვის. სუმბათაშვილმაც რუსეთს შესწირა თვისი ნიჭიც, თვისი შრომაც.

კი, მართალია, ნიჭის ნაყოფი საერთაშორისოა, საკაცობრიო, მაგრამ სუმბათაშვილის ნიჭი მაინც უფრო რუსეთს ამშვენებს ვიდრე იმის საქართველოს. საქართველო ვერ მისცემდა სუმბათაშვილს მას, რაც რუსეთმა მისცა. საჭირო, აუცილებელი იყო მსხვერპლი. სუმბათაშვილს უყვარს საქართველო ძლიერის, ღრმა გრძნობით; ამ სიყვარულმა დააწერინა მას „ლალატი“; მაგრამ მსხვერპლის გამოღება მაინც ვერ შესძლო.

მე ამისათვის არა ვკიცხავ მას. დიდი ნიჭი ხომ დიდი გმირიც არ უნდა იყოს მაინცა და მაინც!

გაწვლილ დრომ. თან წარიტაცა ჩემი სიყმაწვილეც,

დღეს მე წილად მხვდა ჩვენს საკუთარ სუმბათაშვილთან, ჩვენს გულიანთან, ჩვენს ვალიკოსთან საარული. სიმდიდრეს, ფუფუნებას აქ შორიახლოსაც კი არ გაუვლია.

ადამიანს ჰქონია და აქვს გემოვნება, მაგრამ არა აქვს საშუალება, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია.

ადამიანს ჰქონია და აქვს ძლიერი წყურვილი მშვენიერებისა, მაგრამ არასოდეს არა ჰქონია საღსარი, რომ ეს წყურვილი ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებია.

ბუნებამ მისცა ვალიკოს ნიჭი, მაგრამ ბატარა, დაჩაგრულმა, ხელფეხ შებორკილმა სამშობლომ მას ვერაფერი ვერ მისცა.

საჭირო იყო აუცილებელი მსხვერპლი.

ვალიკომაც შესძლო ამ მსხვერპლის გამოღება და მთელი თვისი ნიჭი, თვისი დაუშრეტელი ენერგია სამშობლოს ანაცვალა.

ამრამმა შესძლო და თვისი ერთად ერთი შვილი ღვთისათვის სამსხვერპლოდ გაიმეტა.

ვალიკომ შესძლო და თვისი ცოლი, თვისი შვილები, რომლებსაც დღეს ყოველსფერი აკლიათ, თვისი საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა სამშობლოს სახელსა და დიდებას.

შესძლო იმიტომ, რომ დიდ ნიჭთან ერთათ ის არის დიდი გმირი და აქვს მას დიდი გული შეუბოვარი მოკალაქისა. დიდი მსხვერპლის გამოღებას რომ შეეშინებია ვალიკო და მორიდებოდა, განშორებოდა სამშობლო კერას, თვისი ნიჭით, თვისისის ენერგიით გაიკაფავდა გზას და ხვეგან ხვეასავით მოიპოვებდა იმ პირობებს, იმ კომფორტს, რომელიც ფრიად საჭიროა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კერძოთ მისთვის, მისი ნიჭისათვისაც გაცლა იყო საჭირო; მხოლოდ მისი სამშობლოსათვის კი დარჩენა.

ვალიკოც დარჩა.

და მიუხედავად იმისა, რომ სამშობლომ მას ვერ მისცა ვერაფერი, ვალიკოს ნიჭი მაინც გაიშალა და იმიხსა შრომამ დიდი ნაყოფიც გამოიღო.

Georgian National Digital Library

დინჯი, დაკვირვებული, ნიჭიერი მსახიობი, მსახიობი-ინტელიგენტი—აი ვალიკო სცენაზედ.

მსახიობი ადამიანი, რომელშიაც შური და მტრობა არ არის,—აი ვალიკო. ბევრჯერ მომხდარა,—ნიჭიერ მსახიობს არ უყვარს ნიჭიერი ამხანაგი, ზურგს უკან ჰკიცხავს, ამცირებს მას.

ვალიკო კერძო ლაპარაკში მხოლოდ თავის თავს ამცირებს, სხვების ღირსებას კი არ მალავს. ჭირიქით ის აღტაცებული მოგიყვებით, აი ამას ეტყობა ნიჭი, აი ეს გაგრძნობინებსო ნაზდვილ განცდას, მე არფერი ვარ მათთან შედარებითო.

ვალიკო დრამატურგი—ეს ხომ ბურჯია ჩვენი თეატრისა, დაუშრეტელი წყარო ჩვენი რეპერტუარისა. აქ ვალიკოს ტოლი არა ჰყავს: მისი შრომა ამ მხრივ გასაოცარია და დაუფასებელი.

ვალიკომ მიიღო თეატრი მეტათ ღარიბი რეპერტუარით და თვისი დაუშრეტელი ენერგიის, შრომისა და თეატრისადმი უზომო სიყვარულით შექმნა რეპერტუარი. ვალიკომ შეაყვარა მდაბიო ხალხს სცენა, და მისი პიესები დღესაც ამშვენებენ ჩვენს სცენას და ჯერ კიდევ დიდხანს მიიზიდავენ მდაბიო ხალხს.

ვალიკომ ნიადაგი გაუმაგრა ოპერას ჩვენს სცენაზე და აქაც დიდი ნიჭი და შრომის უნარი გამოიჩინა. თუმცა თითონ მოკლებული იყო სპეციალურ მუსიკალურ განათლებას, მაგრამ მცოდნე პირნი პირდაპირ განცვიფრებული არიან „სევილიელი დალაქისა“ თარგმანით

ღირსეული მოქალაქე, მებრძოლი დემოკრატი, პირდაპირი, მოურიდებელი, პარშემოქმედი, რომელიც დაუძინებელი მტერია ყოველგვარი სხვასთან სხვისი—ჩემთან ჩემობისა,—აი ვალიკო.

მისი სწამს კლასები და კლასთა ბრძოლის დიდი მნიშვნელობა. მაგრამ დარწმუნებულია, რომ ეკლესია, თეატრი და საზოგადოთ ხელოვნება საჭირო და აქ პარტიული ბრძოლისა და კინკლაობის შეტანისა დიდი წინააღმდეგია.

საქართველ ავტონომია,—აი რას ეტუნებულია, რომ მთელი ქართველი დემოკრატია ადრე თუ გვიან შეგნებულათ გასწევს ამ მიზნისაკენ.

დღეს ღღეობით?

დღეს საჭიროა დიდი, თავგამოდებული კულტურული შუშაობა ყველა დარგში; ქართველ ხალხს საკუთარ თავის იმედი უნდა ჰქონდეს,—აი ვალიკოს ღრმა რწმენა.

ავადმყოფი, სარეცელზე მიკრული ის მაინც მოქმედებაზე, ბრძოლაზე ოცნებობს.

საკუთარს თავზე, თავის ავადმყოფობაზე ვალიკო სულ ცოტას ლაპარაკობს; ის იმდენად გატაცებულია ბრძოლის, მოქმედების წყურვილით, რომ საკუთარი თავი ხშირად ავიწყდება.

საყვარელია, სათაყვანებელი ასეთი პიროვნება.

თვისი დიდი ნიჭი, დიდი ენერგია მან სრულად მოანდომა საქვეყნო საქმეს,—თავისათვის „პირადი კეთილდღეობისათვის არაფერი გაიმეტა.

მადლიერმა სამშობლომ დიდიხანია, შეიყვარა ვალიკო. მომავალი კიდევ უფრო გაზრდის ამ სიყვარულს.

ვალიკომ სრულად მოიხადა თვისი ვალი საზოგადოების წინაშე.

მე მრწამს, რომ ჩვენი საზოგადოება და დაწესებულებანიც სრულად მოიხდიან თავის ვალს ამ იშვიათი ადამიანის წინაშე

ივ. ჯავახიშვილი

ჩვენ

ჩვენ მგზავრნი ვართ წუთისოფლის,
ვჩნდებით ღარდებივით;
ზოგნი ელხინობთ და ვიცინით,
ზოგნიც ბედს შევჩივით.

მწვერვალისკენ ვეშურებით,
ავალთ და ძირს ვცვივით;
სიზმარივით ვიბადებით,
ვჭკნებით სიზმარივით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მენადვლება?

შემოდგომის ბნელ ღამეში მოვევლინე ტანჯვის ქვეყანას. კვნესით, გოდებით ქარიშხალი მიმდერდა ნანას, შავი ყომრალი ღრუბლის ნაკვთები დნებოდა ცრემლად, თოვლის ფიფქები მშოსავდა თეთრად.

მაგრამ დაბერა გაზაფხულის ნაზმა ზეფირმა და მზეს ცხოველი სხივი მომფინა. ცელქმა ბუნებამ ტანს შემომლხო თეთრი სამოსი და სურნელება მომაკმა ლურჯ მიდამოსი.

ჰა, შომესმა ხმა იდუმალი.

„ნენ წარსული, ეფერული ბავშვობის ხანა, სიყმაწვილეში ვით სიზმარი ისე გაქრა, მშობლის ალერსი თუ სიყრმის დროს არვინ გაღირსა, სიყმაწვილეშიც რომ არ გექნეს რა გაგნდგლება? რის სდგეხარ, წადი და ეძიე აწ ნეტარება! დროს ნუ აყოვნებ, სიყმაწვილეც ვით ყვავილი მალე დასჭანები ..

ჰა, ჰა, წამოველ! გამოვეცი ვიწრო ბილიკებს, ნაძვნართა შორის, კლდის გულმკერდში ვპოვე ნაპრალი, რომლის თავზედაც ვიღაცას მკვეთრ ხელს ამოეკარგა წამების ჯვარი.

შეველ ჯურღმულში, შიგ სანთელი კრთომით ელვადა, იდგა კუთხეში განდეგილი და რწმენის ლოცვებს ზეცას უკმევდა.

ჩემს დანახვაზე შეკრთა მოხუცი... ორთოლვით, ცახცახით ძლივს ეს ხმები ამოიგმინა.

— მოროტო სულო! იყავ წყეული, განვედ სატანა, იყავ ეული.

— ჰე, განდეგილო, ძესა კაცისას ნუ შეაჩვენებ, და შენთან მოსულს საბრალო ჯაბუკს გულისა წყრომას ნუ გაგოგონებ.

— ადამის ძე ხარ? აქ რად მოსულხარ, რა გინდა, მითხარ?

— მოველ ვისმინო შენი მოძღვრება, ტანჯვაში შობილს გამაგებინო, თუ რაში ვბოვო სრულ ნეტარება.

გადამიშალა, სანთლის ცრემლებით დადვენთილი, წინ სახარება, მითხრა:

— სდექ კრძალვით მოისმინე მთაზე თქმული ეს ქადაგება:

— „ნეტარ არიან გლახაკნი სულით“...

— გლახაკნი სულით? არ მინდა, არა, ეგ ნეტარება არ მინდა! გესმის? არ მენატრება!

ნეტარ არიან გლახაკნი სულით. ხა! ხა! ხა!

და დავტოვე განდეგილის ბინა სადგური, დავეშვი ქვევით, მის დადადისს, მის ვედრებას არ ვუგდე ყური.

მკერდ გაღეღილმა, ფეხ-შველმა გავიარე ვრცელი უდაბნო, სიმ[illegible]ღ—წყურვილმა ფერი შემიკრთო, სულ ჩამი დნა. ძლივს დავაღწიე უდაბნოს თავი, შევეკ რე ზღვაში და მის ტალღებს მივანდე ნავი.

სადღაც კუნძულზე, წალკოტის პირად გაშენებულ კოტეჯ დარბაზს მოვკარი თვალი, ასული ტურფა აივანზე გადმომდგარიყო, ნაზი ღიმილით წამიკიდა გულს ენების ალი.

— მეზღვაურო მოცურე ჩემსკენ ნავი! მო მესტუმრე, სად მისცურავ, რად გასწირავ ვაჟო თავი.

— არ მცალიან, მივენდეკი ბედის ტალღას, არ მცალიან, გესმის ქალო, სული ეძებს ნეტარებას.

— ჩემსკენ, ჩემსკენ, ჩემს ხვეულაში, ჩემს თმათა ჩრდილში დაისვენებ ნეტარების ტკბილსა ძილში.

— და დავფერფლე გული ჩემი ენების კოცონზე, ძიება სულის გაიყინა ასულის მკერდზე.

მაგრამ ვერ ვპოვე ნეტარება ნაბ მწვავ ალერსში, განთიადისას გული კვლავ კენესდა სიმწუხარეში.

კვლავ გაუდექ გზას ძიებისას, კვლავ მივენდე ტალღებსა ზღვისას.

ვარსკვლავთა ციმციმს, ტალღათა ლიგლიგს და ღამის დუმილს, უზიარებ ძიებაში დაღლილ სულის ნატვრას და წადილს მარტო ვარ, მარტო სულით ობოლი. არა მყავს ტოლი. მუხთალი ბედი მაფრქვევინებს თვალთაგან ცრემლებს, მწუხარე სული არ ისვენებს, ნეტარებას ეძებს ის ეძებს.

ოჰ, დავიღალე! დავიქანცე მე ამ ძებნაში, სული დაწყლულდა, გული დაჭკნა მწუხარებაში და რაც ვიტანჯე იმის ნაცვლად აწ რა ვპოვო ნეტარებაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალი ხმა არ მასვენებს, კვლავ მეძახის გამომყე, წამო, რა გენალვლება არემიდამო ცრემლებით ნამო? ნეტარება თვით ტანჯვაშია, თვით ტანჯვა ქნის სრულ ნეტარებას, ბრძოლაში უნდა გაატარო სიცოცხლის დღენი, ბრძოლაში უნდა მოიპოვო მიზანი შენი.

ეჰ, თუ ასეა, ცრემლთ მორევში რად ჩავძირო იმედის გემი? რად ვიგლოვო ჩემს დაკარგულ სიყმაწვილეზე ან რად დავიწვე ავხორცობის ბილწ სამსხვერპლოზე?

და თუ ბრძოლაში სიცოცხლის დილა დამიბნელდება, დე, ძიებაში მოვკვდე, ვეწამო! რა მენალვლება, რა მენალვლება!..

მარტი 1916 წელი.

საპყარი

შაქარსა ვეძებ თუ შარბათს ვსვამ,
პარი მაინც მაქვს მწარეთა,—
თან დამდევს სევდა-ვარამი
შინ ვიყო თუნდა გარეთა.
ტანჯული ხალხის მნახველსა
ცრემლი ღაწვებს მბანს ხშირათა,
მათი ოხვრა და ვაება
ვერ გამომითქვამს პირათა.
უყურებ საპყარ-საცოდავს
რომ სულსა ჰლფავს სიმშილი,
სახლი თავს ჩამონგრევია,
ცის ქვეშ უყრია წვრილ-შვილი.
ერთხელ ამ საპყარს აქებდნენ
მტერთანა გმირობაშია;
ამ ქვეყნის ბედნიერებას
უწერდნენ პირობაშია.
ახლა ქუჩაში მათხოვრობს
ძალ-ღონე გამოლეული,—
უბელ-ფეხოს და უსახსროს
ველარ დაუძრავს სხეული.
დღეს მას ღიმილით უყურებს
გუშინ მის მაქებარია,—
მდიდარს ფეხებზე ჰკიდია
თუ საწყლის ლუკმა მწარია.
პირიც ამიტომ მწარია
და გულიც მისთვის ღონდება—
ბჭვრსა ვსჩივი და ვსტირივარ—
ქვეყანა არა სწორდება!..

გ. შინატეხელი

ილია და მთიული

ლეგენდა.

ვიწრო და გრძელ ხეობაში სცხოვრობდა ერთი მთიული.

ერთხელ ჩამოუარა მას ილია წინასწარმეტყველმა და გამარჯობა უთხრა.

— გაგიმარჯოს,—მიუგო მთიულმა.

— აქ სად დაბინავებულხარ... გაწვიმდება, მთიდან ნიაღვარი მოვარდება და გაგანადგურებს, სჯობს ახლავე ადგილი გამოცვალო!—უბრძანა ილიამ.

— კარგა ხანია აქა ვცხოვრობ და ჯერ აგეთი არა ყოფილა. გამოცდილებით ვიცი აქ შაგ მხრივ საშიში არ არის,— დაბეჯითებით მიუგო მთიულმა.

გაჯავრებული ილია განშორდა მთიულს და ღვერთთან წარსდგა :

— უფალო, ეგ როგორი განაჩენია... ერთ ხეზში ერთი მთიული ღმერთობას ჩემობს: „აქ არასოდეს საშიში არ არის, ნიაღვარი არ მოვარდებაო,—ამბობს ის, უჩვენეთ მას თქვენი ძალა“-

შესჩივლა მეუფეს ილიამ.

— „ახლავე წადი, მოიხმე ყველა ღრუბელი და იმ ადგილს გადაუღებლივ აწვიმე,— უბრძანა მეფემ ილიას.

გახარებული ილია სწრაფად შეუდგა სამზადისს.

და მოვიდა საშინელი, კოკისპირული წვიმა.

მთიდან მოხეთქილმა ნიაღვარმა მთლად გაატალა მთიულის ქონება.

მეორე დღეს ილიამ ისევ იმ ხეზთან ჩამოიარა

დაინახა გაუბედურებული მთიული და ნიშნის მოგებით გადასძახა:

— როგორ ატყობ, საშიშია აქ ცხოვრება თუ არა?

— კიდეც არა მიშავდა რა, მაგრამ ღმერთმა მაბეზღარის ოჯახი დააქციოს,—მიუგო მთიულმა.

ლ. ძიძიგური

დუგე

(გაგრძელება იხ. „თ და ც“ № 41)

—

ოცი წლის წინეთ ერთ თავის მეგობარს ეი რასა სწერდა არტისტი ქალი:

„... თქვენ მაშინ გამიცანით, როდესაც ესსრეთ წოდებული ბედნიერი დღეები მედგა. მაგრამ მე მგონია იმდენად გულ-ახდილი ვარ, რომ უფუოდ მიხვდებოდით — სცენაზე წარმატებას კი არ ვეძიებდი, არამედ თავ-შესაფარს. ახლა სამაგიეროს დრო დადგა, დრო დაჯილდოვებისა, სამკალის მომკისა და მეც ვემზადები თავისს თავს დაუბრუნდე. წლიდან წლამდე ვმუშაობდი, მთელი ჩემი ახალგაზდობა მუშაობაში გავატარე, ასეც უნდა ყოფილიყო; ახლა კი დიდი დასვენება მინდა, ჰირდაპირ მწყურია. იმდენი შევიძინე, რომ შემიძლია ვიცხოვრო და მე ამითაც კმაყოფილი ვარ. ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ გიხილე...

ერთხელ გიხილე ნაზი, ნარნარი,
სიყვარულისა შუქისა მფენი,
და საუკუნოდ გულს ჩამესახა
შენი სახელი, შვენება შენი.
დაგიახლოვდი.. და მსურდა ტრფობა,
სულით გარდაცვლა შენს ღვთიურ სულში.
მაგრამ ვაიმე! — სიცარიელე,
ეჰოვე ფუტურო გრძნობის უფსკრულშა
ახ, რად მომედო ტრფობის ალმური?
რითა ხარ ასე შვენებით სრული?
— ჩამომეცალე! ჩამომეცალე!
არა გაქვს გრძნობა, არა გაქვს სული!..

დარია ახვლედიანისა

სცენის მუშაკი

† **ევ. რაფ. წუწუნავა**

„მოგზაურ დასში“ აკ. გაცვდა 3 წ. ავადმყოფობდა. კარდ. 11 ღვინობ. ოზურგეთ. ნიჰეერად ასრულ. ქრისტინეს, სალიხეს.

ულმობელმა სენმა ბოლოქმა იმსხვერპლა ჩვენი სცენის—განსაკუთრებით სახალხო და პროვინციის თეატრის დაუღალავი მუშაკი, მსახიობქალი ეველინა წუწუნავა, დაი რეჟისორ წუწუნავასი.

ეველინა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. სცენაზე გამოვიდა 1901 წ. ოზურგეთში, 1909 10 წ. ქუთაისის მუნიციპალურ დასში შევიდა, 1910—11 წ. ბითუურის დრ. დასში, 1911 12 წ. თბ. სახ. სახლში, შემდეგ მიიწვიეს ბათომს ზ. დადიანის

სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგები

რეჟისერ ბეგ ნიჟარაძე
ქართველი მაჰმადიანი, უმაღლეს სწავლა-დამთავრებული, ქ ბათომის ხმოსანი გასულ კვირას დამტკიცებულ იქმნა ბათომის მოურავის მოადგილედ,

ა—აგარაკი, ოჩი ასული

— იცი, თამრიკო, მე მომწყინდა!.. მე გული მწყდება...
— წამო ბუჩქებში! აქ რა გვინდა, აგვისიცხდება!
— უჰ, რა მაწამებს ამ სიცხეში წიგნების კითხვა!..
— მართლა!.. შოთიკომ დამბარა შენთან მოკითხვა!
— შენც მოგიკითხა ბიძინამ და კიდევ მეორემ!..
— გუშინ?.. ბიძინამ?.. მორცხვი არის ცოტათი თორემ...
— ჩუ!... ტაში! ცეკვა!—შეგროვილან მგონი ჩვენს ქვემოთ!
— ქეთო, წავიდეთ! ჩვენც ვიმღეროთ! ჩვენაც ვიცეკვოთ! (მიდიან)

ბ—იძვი, ოჩი მოხუცი

— მე მცივა ქუჩი, ქუჩი დღესაც სიცივე არის.
— ისევ ცილაა?—ხმა მესმოდა თერთმეტი ზარის.
— მე მარტო ხუთი გავიგონე.—წამიხდა სმენა!
— მოვხუცდი ბუჩარ, ჩვენი ყოფნის მზე ჩაესვენა.
— იქით რომ ბრწყინავს ჩვენს მახლობლად ნეტავ რა არის?
— სასაფლაოა და ელვარებს გუმბათის ჯვარი!
— რაღაც მაწუხებს.. ტაშს უკრავენ მგონი ჩვენს ქვემოთ!..
— სასაფლაოზე სიჩუმეა: იქ მოვისვენოთ! (მიდიან) **სიმ წვეული**

ეჰ რა ვიცოდი

არვის უყვარდი... არვინ გყავდა გულის დაშვებული;
სწყევლიდი იმს, ვინც დაგბადა, ვინც გაგაჩინა...
მე გიერთგულე და ძმას ძმურად მოგეცი ხელი..
მე გიერთგულე და ჩემს სახლში მოგეცი ბინა...
ეჰ, რა ვიცოდი, თუ იყავი ქვემძროში გველი...
ეჰ, რა ვიცოდი, თუ შენს გულში ლალატს ეძინა!..

კ. ძიძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის დრ. დასი

ა. ქ-ქოძე ნ. დავითაშვილი

ტ. აბაშიძე

ნ. ჯავახიშვილი

მ. ქილარჯიშვილი

ა. წუწუნავა
რეჟისორი

ვასო აბაშიძე

პ. შოთაძე

ი. ზარდალი-
შვილი

გ. ფრონისპი-
რელი

ვ. სარაული

გ. არადელ-იშხნელი

ი. თარალაშვი-
ლი

ნ. გვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან გაცოტნიშვილი

(გაგრძელება, იხ „თ. ც." № 41)

ლევანი ავიდა ლიახვის ხეობაში ბიდარეში და დადგა მაჩაბლების კუთვნილ სოფ სხლებში, და აქედან იწყო ადელვება ოსებისა, რომელთაც ჭირდებოდა უსე ჯილდოს სპარსთა მთავრობის მხრივ და თან აყრეულებდა ხმას, ალექსანდრე ბატონიშვილი 20000 სპარსოსმალებით შემოეწოო ქართველს.

თან თვით ალექსანდრეც ჭფენდა მოელს სიკეთეთ-დროში მოწოდებებსა და ფიერმანებს და ეწოდებდა თავადებსა და ხალხს ერთსულოვნად ამდგარიყვნენ რუსთა წინააღმდეგ. უმეტესობა თავადებისა სრულიად გულგრძელად ეგებებოდა ამ მოწოდებებს, სპარად ითმენდნენ კიდეც დამტარებლებს და ურდაკენდნენ მთავრობას; ასევე შეუფლად ეგებებოდნენ მით შეკეთებულ მეზობელ რუსებისა ქურთთან და თავიანთ ოსები, აგრეთვე მოელები და თვით მეზობელნი ქსნისა და არაგვის ხეობებისა. „მმიტე მოიწეფენ" დაიხვეტება კი კვლავ ამოძრავდნენ ძველიერად. ოდეშვიდი და ქონება მიმიდეს მიეკვლ ბუნებიოვე დიტულ ადგილებში და თვითონ კი რახმარეზად იწყეს მისევა ქართველის სოფლებისა, ამთ დასეტვლად ტორმასოფმა ჯარიანს და ხარ. ბაზნებით გაგზავნა ბოდე სტადი.

მაგრამ ქართველის სოფლების დაცვა არ გამართდა. საკმარო იყო ამბოხებისა ნაკერობა თვით ოსეთში, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებულნი

გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 41

დონ-მენდეს. (დიმიდათვის). მშვიდობა შენდა, რაბბი! აქ მთელ მხოლოდ მიტომ, რომ გავიგო შენი მშვიდობა, ჩემო ძვირფასო რაბბი, და მშვიდობა ჩემთა მოძმეთა. მაგრამ, როგორცა ვხედავ, არც აქ, თქვენ შორის, არ მესმის საკეთილო ამბავი.

დონ იმან. ახალი რა ისმის ინკვიზიციის საიდუმლო სათათბიროში? შენც გაიგებდი, რომ ერთ ჩვენთაგანზე იქვი მიუტანიათ: შეგიძლიან თუ არა აღმორეცხო ის იქვი საძღვლოებისა და ინკვიზიციის გულიდამ?

დონ მენ. ვცდილობ რაც კი შემიძლიან. ყოველ დღე სხვა და სხვა ტყუილ-შეთხზულ ამბებს მოუთხრობ, ამით მინდა იქვი მივატანინო ნამდვილ კათოლიკეზე, რათა ებრაელებზე ყურადღების მისაქცევად აღარ ეცალოთ. მე და ჩემი მოძმენი, რომელნიც ინკვიზიციის სხვა და სხვა თანამდებობას ვასრულებთ, ვცდილობთ, რაც კი შეგვიძლიან, ავაცდინოთ მეთაურები ნამდვილ გზას და თვალები აუხვიოთ. ბევრჯერ კიდეც მოვახერხოთ ეს და ვიხსენით რამდენიმე სული, რომელთაც ინკვიზიციის ბრძანებით მისჯილი ჰქონდათ აუტა-ნელი წამებით სიკვდილი. მაგრამ ასე-თუ-ისე, ჩვენ, ებრაელები მცირენი ვართ, იმ აუარებელ ჯაშუშთა და მმართველთა შორის, რომელიცა ჰყავს ინკვიზიციას; და ჩვენს გარდა არიან კიდევ სხვა ათასობლივ მზვერავნი თვალნი, ყოველ თითო ნაბიჯის გადადგმაზე, მუდამ საფრთხეში ვართ და საშინელი უბედურება მოგველის.

დონ იმან. ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში ვისმე რამე ფაიერაკი შეემთხვა? შეიპყრეს ვინმე ჩვენი მოძმეთაგანი?

ერთი სტუმართაგანი. ამ ორი დღის წინად შეიპყრეს მდიდარი ებრაელი დონ-იულიანო, ის თავისი ოჯახობით ახლა საპყრობილეშია და მძიმე სასჯელს ელის.

მეორე სტუმარი. მისი ნაცნობ-მახლობელნი ცდილობენ პირიდან გამოპტაცონ ონავარ მხეცს, რომელიც ასე შეუბრალებლათა გვეპამს. მაგრამ მეძნელება თავიანთი დიმეცანეობით გახდენ რასმეს: დონ-იულიანო ძალიან მდიდარია, და ინკვიზიციის მღვდლები არას გზით არ დასთანხდებიან, ამნაირი მსუქანი ლუკმა პირიდამ ვაიგდონ, როცა უკვე თავიანთი ბასრი კბილები გაუყარეს.

დონ-იმან. რასაკვირველია! ის ისე ძალიანა ფრთხილობდა და მაინც მიიტანეს იქვი! ძალიან მსურდა გამეგო, როგორ მოხდა ეს საქმე? ის ხომ მთელ ქალაქში ისე იყო გათქმული, როგორც წმიდა კათოლიკე.

მესამე სტუმარი. ამბობენ: სახლში რო კათოლიკე მოახლე ჰყოლიათ, იმას დაუტეხნია მათთვის ეს უბედურებაო. მის ოჯახში მისულა თუ არა, თავიდანვე იქვის თვალით დაუწყვია ყურება ყველაფრისათვის, ვინაიდან რამდენიმე ზნეჩვეულება იმის ოჯახისა თვალში არ მოსწონდა, და მაშინვე ბეჯითად შესდგომია მათი ქცევის მეთვალყურეობას. ამნაირად, თანდათან უფრო გაძლიერებია იქვი, ისე რომ უკანასკნელად უცნობებია საიდუმლო ინკვიზიციისთვის რაც ენახა და გაეგონა; ინკვიზიციის ბრძანებით გაუგზავნით საიდუმლო ჯაშუში, რის შემწეობითაც გამოურკვევიათ საქმე.

დონ იმან. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ჩვენი მოახლე-მოსამსახურეთა მიმართ.

პირველი სტუმარი. ასე თუ ისე, ორთა წყალ შუი ვართ. ჩვენ იმიტომ ვიყვანთ კათოლიკე მოახლე მოსამსახურეებს, რომ იქვი არ მოიტანონ, თუ ჩვენ ებრაელები ვართ; ბოლოს-კი თვითონ ისინი გვატეხავენ თავს დიდს უბედურებას, ვინაიდან იმათთან გაფრთხილება შეუძლებელია.

ყველა შეკრებილნი. დიახ, ცუდ დღეში ვართ! (ოხრავენ და მაღალ იეურებიან **დოცვენდრების** გამომეტყველი თვალებით.)

(გამოქვაბულში გამოჩნდებიან დონსდონსო, დონნა ლაურა, დიეგო და კლარა, სუყველას სადღესასწაულო ახალი ტანისაცმელი აცვია. დიეგო და კლარა ბოტებით იეურებიან ჰქეთ-ინით).

V

იგანიგ, დონ-ალონსო, დონნა-ლაურა. დიეგო და კლარა.

დონ-ალ. (სტუმრებს). გამარჯვება თქვენ, ჩემო ძვირფასო ძმებო! გმადლობთ, გმადლობთ, რომ პატივი მეცით და მობრძანდით მიიღოთ მონაწილეობა ჩემი შვილის სიძეობრულებში, რომელსაც შეუსრულდა ცამეტი წელი. აბა, ტრაპეზს მოუ ხედით. (უჯდანი მოუსხდებიან დიდ მაგიდას, რომელიც სდგას გამოქვაბულში. **დონ ალონსოდი** ზის თავში, მარჯვენივ უსხედან **დონ ალონსოდ** ალონსო შეუდგე, მარცხენივ სდგას ორი სკამი **დიეგოს** და **კლარასთვის**).

დონ ალონ. (**დიეგოს** და **კლარას**). დასხედით, შვილებო, აქა. (**უჩვენებს სკამებზე, რომლებიც მარცხნივ სდგანან**) ეს ადგილები თქვენთვისაა გამზადებული, ვინაიდან თქვენ ხართ მიზეზი ამ დღესასწაულისა. (**ბავშვები სხდებიან და განაგრძნობენ კოტეტიით ეურებას ქალიქეთ**).

დონ ალონ. (**შეიდგეს**). დიეგო ჩემო ძვირფასო შვილო, დღეს შეგისრულდა ცამეტი წელიწადი. დღეიდან შენ პატარა კი აღარ ხარ, არამედ კაცი, რომლის მოვალეობაც არის თვითვე იზრუნოს თავისი თავისთვის. დღეიდან იძულებულნი ვიყავით დაგვემალნა შენთვის ბევრი საქმე, რომელიც თუმცა ძალიან გვსურდა რომ გცოდნოდა, მაგრამ გვეშინოდა გაგვემხილა შენთვის ჩვენი საიდუმლო. ახლა კი ვიმედოვნებ, მიხვდები ყველასფერს და გეცოდინება, თუ როგორ უნდა მოიქცე. შენც, კლარა, შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ; მაშ ყურადღება მიაქცევ ყველა იმ სიტყვას, რომელსაც მოიმენ აქ, და კარგათ, ღრმათ ჩაიმახსოვრე გულებში, რადგანაც დიდისა და ფრიად გასაკვირველ ამბავს მოისმენთ თქვენ ორთავენი ახლა. თქვენი საყვარელი მასწავლებელი დონ-იმანუელი გიამბობთ ყველას.

დონ იმან. (**ბავშვებს**). დიახ, ჩემო საყვარელო შვილებო, ახლა გაიგებთ ჩემგან ისეთ დიდ და საოცარ ამბავს, რომლის მსგავსიც თქვენ ღღეში არ გაგეგონებთ. მაგრამ სანამ ამ ამბავს გიამბობდეთ, მე მსურს გიამბოთ ერთი პატარა მოთხრობა. ყურადღება მოაქციეთ კარგად:

„წინედ, დიდი ხანია მას შემდეგ, იყო ერთი მეფე, მდიდარი და გმირი, რომლის სწორიც არ მოიპოვებოდა მთელ დედამიწის ზურგზე. იმ მეფეს ჰყავდა ბევრი ქალ-ვაჟები და ვინაიდან მი ი სამეფო იყო დიდი და ვრცელი, ამიტომ დაჰყო პატარ-პატარა ნაწილად და დაურიგა ყოველ თითოეულ შვილს, რომ ეუფლნათ მაზე. და იმ მეფემ, როგორც წრფელმა და მართალმა, დაიწყო წრფელი და მართალი წესები, შეთხზა წიგნათ და გაუგზავნა ყველა შვილებს, რომელშიც უბრძანებდა აღესრულებინათ ის, რაც ეწერა იმ წიგნში, და მოქცეულ-ყვნენ იმ კანონებისამებრ, რომელიც იმ წიგნში იყო ნაჩვენები; ამითი იქმნებოდენ ბედნიერნი მთელი თავიანთი დღენი მაგრამ შვილებმა ვერ შეიგნეს თავიანთი მამის სურვილი კარგად; არ იცოდნენ როგორ აღესრულებინათ მამის ნაბრძანები, წიგნი თავიდ ნ მოიშორეს და მიივიწყეს. მხოლოდ იმ მეფესა ჰყავდა ერთი შვილი, ყველაზედ უმცროსი, რომელმაც დაიცა მცნება თავის მამისა და აღესრულა ყველა მისი ნაბრძანები; იმის გულისათვის მეფემაც ძალიან შეიყვარა და უთავაზა ყველაზე ს უკეთესი მხარე სამეფოდ, იმნაირი ქვეყანა, საცა მუდმივი გაზაფხული სუფევს; მხარე, რომელსაც ირგვლივ არტყიან მთა-ბორცვნი და სდებენ საუცხოო ენოსა და ლაზათს, ისე რომ ვისაც-კი ოდესმე უნახავს ეს მხარე, ერთხელ მაინც, აღარ ძალუძს დაივიწყოს სიკვდილამდე.

„განვლო ბევრმა ხანმა. მეფის შვილი იცავდა თავის მამის მცნებებს და ცხოვრობდა ლაღად და ბედნიერად თავის მშვენიერ ქვეყანაში; მა თავის სიცოცხლეში არ განეცადნა ზარუნვა და ნაკლულოვანება. მხოლოდ ერთხელ შვილმა თავისი მამის წინაშე ჩაიდინა დიდი ცოდვა. განრისხდა მაზედ მეფე ფრიად, მოიხმო და უთხრა შემდეგი:

„დიდია ცოდვა შენი და არ ძალმიძს პატიება. მსურდა მომეკალი, ვინაიდან ღირსი ხარ სიკვდილისა ამისთანა მძიმე ცოდვის ჩადენისათვის; მაგრამ, რადგან ძალიან მიყვარხარ და მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი ყველა ჩემ შვილებში, რომელმაც დაიცავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემდე ჩემი ბრძანებანი და მცნებანი, ამიტომ დაგიდგინე: გადმოდი შენი სამეფო ტახტიდამ, რომელიც გიოთვაზე, განვედ შენი მშვენიერი ქვეყნიდან, რომელიც გიმოწყალე და ძაწოდე, ილტოდე მთელ დედამიწის ხეოგზე და შენი მამეული დაშთეს ობრად.

ნ. ელიავშვილი—ბენ დავიდ

(გაგრძელება იქნება)

წმინდა ხელოვნება

კიდევ დიდი ხანი იქნება საჭირო, რომ ჩვენში ფართო საზოგადოება კეტნოს საოპერო ხელოვნების მნიშვნელობას; კეტნობა-გაგების დაჩქარებს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს თეატრის მესვეურებისა. ბევრი იმ აზრისაა, რომ დადგეულმა ნაწყვეტ შემდეგ თვით მაყურებელი კეთილისნს შესაფერ დასკვნასო და ეს უკეთესი იქნებოდა,—ასე მსჯელობენ უმთავრესად თეატრის ხელმძღვანელები. ამ მსჯელობის მაშინ ეკნებოდეს მთელი თვისი ფასი, რიცა წარმოგვნენის მაყურებელნი შეკნეულნი იქნებოდენ. რიცა წარმოდგენის დროს კასტატრებლად ესწრებიან, იქ დასკვნის გაკეთებანის ვინ დაკიდეს. ჩვენ ხშირად, ითქმის ეოველ წარმოდგენის დროს ვხედავთ, როგორ შეუფერებლად იქცევა მაყურებელთა დიდი ნაწილი თვით ქალაქში. დაბა-სოფლებში რაც იქნება, ეს ძნელი წარმოსადგენი არ არის.—ბევრი ჩვენს დაბაშია შემოდებული წელიწადში ერთხელ კვირეულ ანნახულარ თეატრ ბაზრობის (იარმუკობის) კამორთვა. რომ ასეთია იარმუკების აუცილებელ ხასხლ ობიადეს, ესეც ტნობილი ამბავია. ბაზრობა ბევრ სოფელს სძენს ორიოდე კრაშს და ისიც ცდილობს რამე სიამოვნება ნახოს. ფეოდის მახეები იქნებ თასია და ისიც თვის ანჩეკნის ხშირად ცირეზეა კალაიტენს. იარმუკები უფიერეთ არ მოხდეს: ცირკის ბირეული ბაზარი ეს დროა. მართლაც ცირკებში ხალხის ტეეეა არა. მაყურებელნი იცინიან, ხარხარობენ, მახინჯ კალიუნების მანკეთით ალტეებებში მოდიან და „დრო კასტატრებნაა“ ხალხი ბრუნდებიან. რომ კითხოთ მეორე დღეს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმზადების სედოგენების ამ დარგში რომ გიტინობთ, მით დანდგამ წარმოდგენაზე დაბარკოტ ან დარს.

ერთის სიტყვით, რომ მეუფრებედიეზურგით ან მიუბრუნდეს სცენას წარმოდგენების დროს, სავალოა წარმოდგენების კეთრთვის წინად, თუ ეოგედოვის ან, ხშირად მაინც, დასანდგამ პაესის მნიშვნელობა გაკეტონო სახოგადოებას, თეატრის შესახებ ლექციები მოგასმენინოთ ხროგინეოელებს და ქალაქელებსაც ჩვენი მოინტერეოეენტო ბიჭება, ხელის შეწყობის ნაცვლად, გუდგრადადეკედ ებიან ფაროთ მასის შეკნების სავმენ. მეორეს მხრით კი მახინჯ წარმოდგენებს მაროვენ და მით აძულებენ ხალხს ენინდ სედოგენებისგ

ბარ. ფანცულაია

ბაძოზეი წელს ქართული წარმოდგენების სეზონის შესახებ ბენიმინტური ახრი ტრაიდებდა ქ. ბ. წ. ქ. ბ. სახდრამატიულს კომეტეტს თითქო ფარ-ხმადი დაეკარა. —ბენიანებსკან შექმნილ პირობებში სისტემატიური წარმოდგენების მართვა მას თითქმის შეუძლებელად მიანნდა—ფასეკრავი მხოლოდ დრო კამოშვებით წარმოდგენებზ იეო, რომელიც ოვეში ერთჯერ ან ორჯერ კეთმართებოდა; სხვადადგ იეო ეს კარგეოვა, რო წარმოდგენებს ეკვე მოეეურებედ ბაკოდ ქართველ ხალხს მეობდიერ ხედოგენ ბით დაეკობის საშეუალა ენინბოდა. მაგრამ ამ ან სასიანოენო მოედენს დროზე კაეეეა ანკარაში ბაქოს ქართულ ხაზს სადიტ. წრესთან არსებულმა სტენის მოეკარეთ ჯგუფმა—სიჩქარიდ კეთმიეეეა რეეესრად ბ-ნი ვასო ანაბაძე და ენკენანთოვის 25 ეკვე დიაეეო სეზონი. წრეს მიზნად დასახა ქმართის წარმოდგენეაი ეეოსაკრენად მეშოთ ეენებში; ოკანის ბეზის რიათხეა და ბალანსი-ბალაკარაში—კეთოიეეეა ენეოფარი რეკვერტეარი და ენეოფდი ფასიდ ეკეკანთოვის ხედმანენეკენ დაეენა. ამეკე დროს ქ. ბ. წ. ქ. ხაზ. დრამატიულ კომეტეტიც დარეეენდა, რომ ეოგდიდ ეეეეძლებელია ბაქოში ეენეზონობა, კამართა ფიტენდი მიეკენ-მოეკენა თბილისში მსახიობთან და ეკვე კამოიკეკა რეკეესრი ეზდა დადანი, ქ-ნი ე. ახდრონიკაეეედი და ე. ხანდადი. მაგრამ ეკდეკანდენ ხეეზანა'თოვის სამი მსახიობი საკმარისად ვერ ხენეს არსეთანან ხარჯს ადარ ერიდებიან და ამ მსახიობის კიდეკ ოეკეკენ,—ანე რომ ბაკოს ხენანზე ეკდეს ექკანი ბრიოეენიანდური კეკეეოდენ. ამრიკად ეკდს ბაკოსა და მის რაიონებში ორი დასი იმეეეკენენ. ერთი ქალაქის ხახოგადოებისთვის, მეორე ეეეთა ეენ'ენებისთვის—რაიც ფერად სასიხარედო მოგდენად ენდა ნათეკადოს ბაკოელ ქართველთა ცხოვრებაში.

ამმა-სასიტ ერესთან არსებულმა სტენის მოეკარეთა ჯგუფმა ვასო ანაბაძის რეკეესრობით ორი წარმოდგენა ეკკე კამართა ეკეზდის სკვერეეედი დარბაზში და რეკეესრის სასახდად ენდა თოქვეს, რომ პიესები „მეზობლები" ენკენ. 25 და „სოფდის გმირები" დეკენობისთვის 2 ამეეა დამეკეეთფიდად იქნა წარმოდგენადი; კანსაკეთრებით მეორე წარმოდგენამ კარგად ნაიარა.

ადსანიშნავია, რომ სტენის მოეკარეთა ეენრეკესი ნაწილი სრეკდებით ნორნი ძალებია, რომელების კამოშეშეკებეს და სტენისთვის კამოეკენენენ, ეკეენ კარეენეს, ენეძლებს ბ ნი რეკეესორი. რაიც აეკარად ანენდა ეკეკე დადგეკდ წარმოდგენებში:—ემბნეკდა კამოტდიდი ხედოგენის ენედმკანენდობა.

ე ფეინობისთვის წარმოდგენაში („სოფდის გმირები") ბინებეკდად ეეკენენდენ თეეეანთი რადდაბ ქ ნა ბ. კანდენდაძისგ (ანეკი) და ვ ანაბაძეკ (ხეთრიდინა) კანსაკეთრებით ეენეეეკ მოეკენდებენ. ბ-ნი ი. ბაბეკ (ენედენენ) და ზაკარაძე (ფანთოსაძე) ტიპეეეკენი იეკენენ. ბ-ნ ანეკრს (ბრაკდი) ტიტა სიტიტენდეკ ეკდდ ანეკეეეკ ეკრკდ ანრეკენდა რადდ. მასიური სტენები მოიანენტენდა, კანსაკეთრებით მეორე მოქმენდებში. კარკდ იეო მეოთხე მოქმენდებში ენდეკენდი სიდეკენი. ენანრენ რადთა ადანარენდენ თეკ-თეკენთ ადკეს იეკენენ, მხოლოდ ზოგეკრთნი რადთ ეკეოდანარეთ ანეკთ ანანეკმ ეეკრანენდენ. წარმოდგენის სეკრთ ეეოეკენდადეს კარგი დანტოკ. ეოგენენდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ამინდის (საშინელი ქარბუქი იყო), ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას და 12 ს. ნასიამოვნები დაშალა. სიამოვნებით ადასნიშნავთ ის გარემოებაც, რომ წარმოდგენები სწორედ ათეულში გამოცხადებულ დროზე იწყებს ე. ი. $8^1/_2$ ს დაშეწრე ასზოგადდება დარბაზში საათნახევარ წესიერებას ვერ იტყვს,—თითო ორიოდ ადამიანი წესიერებისა ამ რას გაიგონებს.

გულისაბა

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. 15 ენკ. გახსნა საღამოს კურსები და 2 ოკტ. დაიწყო ლექციების საჯარო კითხვა. ლექტორებად იყვნენ ექიმი გ. ბადრიძე და გაგეგობის თავჯდომარე ალ. გარსევანიშვილი.

პირველმა წაიკითხა მეცნიერ ილია მეჩნიკოვის შენახვა, რომელიც ზაფხულში გარდაიცვალა. ლექტორმა მოიხსენია მისი დაუფასებელი ღვაწლი და შრომა, აღწერა მეჩნიოკოვის გამოკვლევანი და სთქვა, ეაოთ იგი მსოფლიო მეცნიერი იყო და ამავე დროს ქალთმოვყვარე ად მიანი, მეჩნიკოვისთანა ეკმიები შრომებენ არა მარტო რომელიმე ერის სასარგებლოდ, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

მეორე ლექცია წაიკითხა ალ. გარსევანიშვილმა „ქუთაიიის ისტორიიდამ". ქუთათურნებს ეს ლექცია ნასაკუთრებით მოეწონათ, რადგან იგი ეხებოდა მშობლიურ ქალაქსა. ლექტორმა გადმოგვცა მრავალი ცნობა ქუთაისის შესახებ როგორც უძველესს, ისე უახლოესს წარსულიდან. მეტად საინტერესო იყო ქუთაისის აღწერა 1852—3 წლებში. ლექტორმა დასურათა იგი როგორც უპატრონო პროვინციალური ქალაქი, თუმცა ის ამ დროს საკუბერნიო ქალაქად ირიცხებოდა. ეუნები ეუსოორ-მასწორად დაგებული, უასხელო ეუსუფთო, ეხო

ბრავალი სიბინძურით ს

ᲩᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ სეზონის ხარი ს. ჭანტურიშვილის „მორევი“ თ დაინ.ეკა. სეზონი განახლდა „უბინო“ და „მოხეტიალე“ მსახიობები მუშობას აჩაღებენ. თბილისის ქართველ საზოგადოებას სურვილი აუსრულდა, თუ საქმემ სასურველად ხასიათი მიიღო.

მაინც და მაინც დიდი სიტო�sლის ელფერი არ ეჯდა სეზონის დასაწყ სს. სრულებითაც არა სჩანდა, რომ დღეს თეატრის ახალი წელი ა არა სჩანდა სიახლე, აღფრთოვანება—ხალისი და მკვდრული დუმილი დაპკრავდა პიე ის მსვლელობას... რას წარმოადგენს „მორევში“? —ფრიად საინტერესო თემას, მაგრამ სუსტად შესრულებულს ავტორის მიერ. შიგა და შიგ პიესას ამკობს იაფ-ფასიანი სურათები და ყალბი ეფექტები. ამსრულებელთ საკეთილოდ თითქმის, პიესა სინდისიერად შესასრულეს განსაკუთრებით ბ. იშხელმ, ქ-ნნი დავითაშვილმა და ჯავახიშვილმა. დრამის შემდეგ მხიარულად ჩაიარა უმნიშვნელო ოპერეტამ, „გულმა იგრძნო“. პირდაპირ სირცხვილია, რომ ამნაირ ბაზრულ და იაფ-ფასიან კომედიებით გვმასპინძლდებიან. ალბად მომავალში დასი უფრო მეტს უნარს გამოიჩენს. ადა ნორიელი

ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ სეზონის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი“. პიესა ალაგ ალაგ მოსაწყენია. კარგათ შეასრულა ნ. გოცირიძემ აკიმ აკიმჩის როლი: ნიჭიერად დაგვისურათა XIX-საუკ. ჩვეულებრივ ჩინოვნიკი. კარგები იყვნენ ა.ბერეთელ ბ-ონნი ს. რომანიშვილი და მეტრეველი მოხდენილად ასრულებდა თავის როლს ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი. საერ... შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდ... ... მთლიანობას. სახალხო სახლის წრე დ... ... ...